თბილისის საგუნდო მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალი

პრეს რელიზი

2021 წლის 4 ნოემბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით
თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება

თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი 2011 წელს თბილისის მერიის ინიციატივით დაფუძნდა, ფესტივალის მიზანი დღემდე უცვლელია: განავითაროს ქართული საგუნდო მუსიკა, ხელი შეუწყოს საგუნდო საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნებას, მსმენელს გააცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე გუნდების შემოქმედება.

ფესტივალი ყოველწლიურია და ტრადიციულად კონცერტები იმართება, როგორც თბილისის სხვადასხვა საკონცერტო, ასევე ექსპერიმენტულ სივრცეებში. 11 წლის განმავლობაში მსმენელს მიეცა შესაძლებლობა მოესმინა 70-მდე (მათ შორის 20 უცხოური) გუნდი, გაიზარდა საგუნდო მუსიკის მსმენელის აქტივობაც,რაც უდიდესი სტიმულია მოქმედი გუნდებისათვის.

ფესტივალის სამხატვრო საბჭო წლიდან წლამდე მუშაობს იმისათვის, რომ წარმოდგენილი საკონცერტო პროგრამები, იყოს მრავალფეროვანი და სიახლით სავსე. ბოლო ორი წლის განმავლობაში Covid 19 პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ და შეზღუდვებმა გუნდების შემოქმედებითი ცხოვრებაც შეცვალა, მონატრებულ მსმენელთან შეხვედრა მათთვის დიდი გამოწვევა და მოტივაცია იქნება, სამწუხაროდ ვერც წლევანდელ ფესტივალს შემოუერთდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული გუნდები და პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება 6 კონცერტი და 1 მასტერკლასი,სრულად იქნება დატვირთული საქართველოში მოღვაწე გუნდებით.

*საფესტივალო კონცერტებზე დასწრება იქნებ თავისუფალი
*ფესტივალი გაიმართება მოქმედი რეგულაციების მკაცრი დაცვით.
*მაყურებელს კონცერტის მსვლელობისას სავალდებულოა ეკეთოს პირბადე.

***პროგრამა იხილეთ დანართის სახით**

ფესტივალის დამფუძნებელი და მუდმივი პარტნიორი - ქ.თბილისის მერია
ფესტივალის განამხორციელებელი: ააიპ თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი
პარტნიორი: საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი
ფესტივალის დირექტორი: ხელოვნებათმცოდნე - მაია ჩაჩავა
ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი: არჩილ უშვერიძე
Web: www.Tbilisichoral.com
Facebook: www.facebook.com/TbilisiChoral
Youtube: Tbilisi Choral Music Festival
ელ.ფოსტა: Tbilisichoralfest@yahoo.com

პროგრამა

თარიღი	მონაწილე გუნდები	ჩატარების ადგილი	დრო
4.11.201	**საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა** მთავარი დირიჟორი არჩილ უშვერიძე **შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამუსიკო მიმართულების გუნდი** დირიჟორი თორნიკე მანწკავა მიმართულების ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე	თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი	15:00
5.11.2021	**გორის ქალთა კამერული გუნდი** სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ცირამუა **ანსამბლი „მძლეევარი“** ქორმაისტერი კახა ონაშვილი **ანსამბლი „ლირა“** სამხატვრო ხელმძღვანელი თამარ თალაკვაძე **ბათუმის რ.ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი** ქორმაისტერი მაგდანა მათითაიშვილი	თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი	18:00
6.11.2021	**ბათუმის რ.ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი** ქორმაისტერი მაგდანა მათითაიშვილი **სიონის საკათედრო საპატრიარქო ტაძრის მგალობელ ვაჟთა გუნდი** ქორმაისტერი დავით მაჭავარიანი **ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ფიროსმანი“** სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა გულაღაშვილი	თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი	19:00
7.11.2021	**ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატროიის სტუდენტური გუნდი** გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი ლიანა ჭონიშვილი **თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა** გუნდის ხელმძღვანელი ლაშა მიროტაძე **ე. მიქელაძის N2 სამუსიკოს სასწავლებლის გუნდი** ქორმაისტერი მიხეილ ედიშერაშვილი	თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი	19:00
8.11.2021	**მასტერკლასი: "რევაზ ლაღიძის ნაწარმოებები"** თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლის ანსამბლი „ბიჭები“ მოდერატორი არჩილ უშვერიძე	თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლა მისამართი: ბახტრიონის ქ.N24	19:00

10.11.2021	**ბათუმის მუსიკალური ცენტრის სახელმწიფო კაპელა** სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მანელიშვილი ქორმაისტერი ლელა დოლიძე **თელავის ქალთა კამერული გუნდი „კახეთის ჰანგები“** ქორმაისტერი სოლიკო გოგილაშვილი **ახალგაზრდული გუდი „თუთარჩელა“** გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი თამარ ბუაძე **თბილისის ქალთა გუნდი** გუნდის ხელმძვანელი ომარ ბურდული	თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი	19:00
11.11.2021	**გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა** სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე	თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური კათედრალური ტაძარი მისამართი: გია აბესაძის 4/6	19:00